პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 97 (3581)

19 მაისი, კვირა. 1968 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## სხარტი ამბები

● ლოზანა, 17 მაისი. შვეიცარიის ამ ქალაქის სპორტის პავილიონში მიმდინარეობს ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატი. ტურნირი ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ ადგილობრივი სპეციალისტები უკვე ასახელებენ მთავარ ფავორიტს — საბჭოთა კავშირის ნაკრებს. ეს გასაგებიცაა: სსრ კავშირის სპორტსმენებმა უკვე ექვსჯერ იასპარეზეს ევროპულ ჩემპიონატებში და ოთხჯერ მოიპოვეს პირველობა გუნდურ ჩათვლაში. ტურნირს წინ უსწრებდა ძიუდოს ევროპული კავშირის კონგრესი, სადაც პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ანდრე ერტელი (საფრანგეთი). გადაწყდა, რომ ჭიდაობის ამ სახეობის შემდეგი ჩემპიონატი გაიმართება ბელგიაში, ხოლო 1970 წლის პირველობა — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

● ლუგანსკი, 17 მაისი. სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი შეჯიბრების ლიდერმა — მოსკოვის „ლუჩმა“ მარცხით დაიწყო. თავის მთავარ მდევართან — სვერდლოვსკის „კალინინელებთან“ მწვავე ბრძოლაში მან ფარ-ხმალი დაყარა ანგარიშით 9:10. ამ დღეს ფავორიტებს საერთოდ ბედი არ წყალობდათ. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — კაუნასის „ჟალგირისი“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ეწეოდა ვილნიუსის „შვიესას“. თამაშის დამთავრებას წუთი რომ აკლდა, კაუნასელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (10:10), მაგრამ ბოლო წამებზე ვილნიუსელებმა მაინც მიაღწიეს საწადელს — 11:10. კიევის „სპარტაკმა“ დაამარცხა თანაქალაქელი ბურევესტნიკელები (12:10), ხოლო ბაქოს „სპარტაკმა“ — ოდესის „ლოკომოტივი“ (18:11). მარცხის მიუხედავად, მოსკოვის „ლუჩი“ 22 ქულით კვლავ ლიდერობს. 19-19 ქულა აქვთ სვერდლოვსკის „კალინინელს“ და კიევის „სპარტაკს“.

● **ლუგანსკი, 18 მაისი.** ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატში გუშინ ქვესაშუალო წონის ათლეტები ასპარეზობდნენ. მსოფლიო რეკორდსმენმა ვ. კურენცოვმა 462,5 კგ დააგროვა და ოქროს მედალი მოიხვეჭა. მან აგრეთვე მიიღო ოქროს 2 მცირე მედალი აჰიმვასა (152,5 კგ) და აკვრაში (180 კგ). სამჭიდში II ადგილზე გავიდა ლენინგრადელი ე. სმირნოვი — 455 კგ, ხოლო III — ვ. პოსპელოვი (ივანოვო) — 435. ატაცში ოქროს მედალი მოიხვეჭა მოსკოველმა ი. კალაშნიკოვმა — 137,5 კგ. დღეს გაიმართა საშუალო წონის ათლეტთა შეჯიბრება. ერთწლიანი „შესვენების“ შემდეგ ჩემპიონის წოდება მოიპოვა დონეცკელმა გ. კოჩიევმა — 470 კგ. ასეთივე შედეგი ჰქონდა შარშანდელ ჩემპიონს, ლენინგრადელ ბ. სელიცკის, მაგრამ იგი კოჩიევზე 300 გრამით მძიმე აღმოჩნდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაოს პრიზიორი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, კიეველი ვ. ბელიაევი — 460 კგ. ოქროს მცირე მედლებს დაეუფლნენ: აკვრაში — კოჩიევი, აჰიმვაში — როსტოველი ნ. ხოროშაევი, ატაცში — პერვოურალსკელი ვ. კოლოტოვი.

● **ოტროკოვიცე** (ჩეხოსლოვაკია), **17 მაისი.** მშვიდობის XXI ველორბოლის VIII ეტაპი (176 კმ) მოიგო იტალიელმა ჯ. სანტამბროჯომ — 4:05.27. ამ ქალაქში ფინიშთან მეორე იყო ბელგიელი ჟ. შოტერსი — 4:06.26, ხოლო III — საბჭოთა მრბოლელი ა. კულიბინი — 4:06.41. ტალინელი პ. იიფერტი VIII ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო რბოლის ლიდერი ვ. ჩერკასოვი — მეოცეზე. VIII ეტაპის სტარტზე გრადეცკრალოვეში 72 სპორტსმენმა მოიყარა თავი.



● გოტვალდოვი, 18 მაისი. დღევანდელი დღის მეორე ნახევარში მშვიდობის XXI ველორბოლის მონაწილენი ჩეხოსლოვაკიის გზებზე ბოლო ეტაპს გაივლიან — 150 კილომეტრს გოტვალდოვიდან (სამხრეთ მორავია) კარვინში (ჩრდილოეთ მორავია). რბოლის ლიდერის ყვითელ მაისურში ისევ აიღებს სტარტს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. ჩერკასოვი. 8 ეტაპის ჯამში მას საუკეთესო დრო აქვს — 34:47.29. II ადგილზე გადაინაცვლა გდრ-ის წარმომადგენელმა დ. მიკეინმა, რომელიც ლიდერს — მოსკოველ სპორტსმენს 28 წამით ჩამორჩება. მიკეინის თანამემამულე ა. პეშელი III ადგილზეა — ჩერკასოვთან იგი 49 წამს აგებს. ტალინელი პ. იიფერტი, როგორც ყველაზე აქტიური მრბოლელი, იასამნისფერ მაისურს დაეუფლა. მას 24 ქულა აქვს. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ველოსიპედისტები კვლავინდებურად V ადგილზე არიან, თუმცა გუშინ, VIII ეტაპზე, II ადგილი დაიკავეს (იტალიელების შემდეგ). ყველაზე წინაა გდრ-ის ნაკრები, რომელიც თითქმის წუთნახევრით სჯობს II ადგილზე მყოფ პოლონელებს.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. ჩერკასოვი (სსრ კავშირი) შეჯიბრებისას.

ფოტო ცაფ-საკდესისა.

## მეშვიდე პარტია გადაიდო



**პორეჩი, 18 მაისი.** მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის VII პარტია დიდოსტატებს ლ. პორტიშსა (უნგრეთი) და ბ. ლარსენს (დანია) შორის 42-ე სვლაზე გადაიდო. ჯერჯერობით ანგარიშია 3,5:2,5 დანიელი მოჭადრაკის სასარგებლოდ.

## სხარტი ამბები



„დელფინი“ — ასე ჰქვია გორკში აგებულ ახალ საცურაო აუზს.
ს უ რ ა თ ზ ე: აუზის საერთო ხედი.

ფოტო ვ. ვოიტენკოსი (საკდესი).

## ჩვენს დიდ სამშობლოში

### ორი სარეკორდო გაფრენა

სერიული თვითმფრინავის „ილ-18“-ის ეკიპაჟმა (ხომალდის მეთაური ბ. კონსტანტინოვი, მეორე პილოტი ა. ტიმოფეევი, შტურმანი ვ. აბრამიჩევი, ბორტის ინჟინერი ი. ბოლშაკოვი, ბორტრადისტი ა. კნიგინი) დახშული 100-კილომეტრიანი მარშრუტით ფრენის დროს საათში 708 კმ სიჩქარე უჩვენა. ეს შედეგი ახალი მსოფლიო მიღწევაა ტურბხრახნიანი ძრავების მქონე თვითმფრინავებისთვის.

იმავე დღეს კონსტანტინოვის ეკიპაჟმა კიდევ ერთი მსოფლიო მიღწევა დაამყარა: 15-25-კილომეტრიან საზომ ბაზაზე ნაჩვენებია საათში 722 კმ სიჩქარე.

ყველა მასალა ამ გაფრენათა შესახებ მსოფლიო რეკორდებად დასამტკიცებლად გაიგზავნა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციაში.

მფრინავები თავიანთ მიღწევებს კომკავშირის 50 წლისთავს უძღვნიან.

## საბჭოთა ძიუდოისტების ვერცხლი

**ლოზანა, 18 მაისი.** ევროპის გუნდურ ჩემპიონატში საბჭოთა ძიუდოისტებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ნახევარფინალში მათ ანგარიშით 3:1 დაამარცხეს კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონი — გფრ-ის გუნდი, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში პირველობა ფრანგებს დაუთმეს — 2:3.

ლენინგრადელი ს. სუსლინის (მსუბუქი წონა) და სარატოველი ვ. პოკატაევის (ქვემძიმე) მოგებები საბოლოო გამარჯვებისთვის უკმარი აღმოჩნდა, რადგან მათი ამხანაგები — დებიუტანტი ო. ნათელაშვილი (თბილისი), კიშინიოველი გ. კოტიკი და გორელი ა. ქიბროწაშვილი ფრანგებთან დამარცხდნენ.

## ნახევარფინალებში ნაიფორხილეს

რომი, 18 მაისი. ყველა საბჭოთა ჩოგბურთელმა, ვინც იტალიის 25-ე ღია ჩემპიონატის ნახევარფინალს მიაღწია (ა. მეტრეველმა — ერთეულთა თანრიგში, ა. დმიტრიევამ და გ. ბაკშეევამ — ქალთა წყვილებში, ბაკშეევამ და ს. ლიხაჩოვმა — შერეულ წყვილებში), გუშინ ფარ-ხმალი დაყარა მეტოქეებთან ბრძოლაში და ტურნირის მიღმა დარჩა.

მეტრეველმა წააგო ავსტრალიელ ბ. ჰიუიტთან, რომელიც ახლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ცხოვრობს — 2:6, 2:6, 2:6. თანაც, სსრ კავშირის ჩემპიონმა არც ერთ პარტიაში არ გამოავლინა ჩვეული შემტევი სტილი და მთლიანად დაუთმო ინიციატივა ამ ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულს ვაჟთა წყვილების თანრიგში.

დმიტრიევა და ბაკშეევა მთავარ ფავორიტებთან — მ. სმით-კურტთან (ავსტრალია) და ვ. უეიდთან (ინგლისი) დამარცხდნენ. ეს ორივე უცხოელი მსოფლიოს უძლიერესთა ათეულში შედის და მათ შედარებით იოლად გაიმარჯვეს — 6:2, 9:7.

### ჩოგბურთი

ბაკშეევა — ლიხაჩოვის წყვილის მარცხში ისევ სმით-კურტმა შეიტანა დიდი წვლილი, რომელსაც მ. რისენი (აშშ-ს მეშვიდე ჩოგანი) ედგა მხარში — 3:6, 3:6.

საწყენია ჩვენი ჩოგბურთელების შიში უცხოეთის სამოყვარულო ჩოგბურთის ვარსკვლავთა წინაშე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბრძოლა დიდი შეჯიბრებების გადამწყვეტ ფაზაში შედის. და მაინც, წინსვლა თვალსაჩინოა. მაგალითად, იტალიის შარშანდელ ღია ჩემპიონატში მხოლოდ ბაკშეევამ მიაღწია მეოთხედფინალს, ახლა კი საბჭოთა სპორტსმენები სამ თანრიგში საუკეთესოთა ოთხეულში მოხვდნენ. თანაც, ნახევარფინალის გზაზე მეტრეველმა დაამარცხა სახელმოხვეჭილი ჩოგბურთელები: ი. ცირიაკი (რუმინეთი) — 3:2, კ. რიჩი (აშშ-ს მეხუთე ჩოგანი) — 3:1 და ამერიკელი გ. კესლი — 3:0.

## სასიამოვნო სიურპრიზი

ბოლო წლებში ბადმინტონის მოედნებზე ყველაზე ერთი თავით მაღლა იდგნენ ნ. ბექანოვა და ვ. ევტუხინა, რომელთა შორის ფაქტიურად წყდებოდა კიდეც პირველობის ბედი. თბილისის ბადმინტონისტთა ამასწინანდელ პირად-გუნდურ ჩემპიონატში სასიამოვნო სიურპრიზს წარმოადგენდა მე-80 სკოლის მოსწავლის ი. კონდრატიევას „მშრალი“ ანგარიშით გამარჯვება ორივე ფავორიტთან. ქების ღირსია შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 13 წლის რ. კოკინაშვილიც, რომელმაც ბევრ გამოცდილ მეტოქეს დააყრევინა ფარ-ხმალი.

ვაჟთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები დ. ასტახიშვილი და გ. ბორიაკი (ორივე — „ბურევესტნიკი“). აქ ბრძოლის ბედი ნერვების სიმტკიცემ გადაწყვიტა: ბორიაკმა შეძლო ორივე პარტიის მოგება, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ასტახიშვილი დაწინაურდა.

გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა არმიის სპორტული კლუბის კოლექტივმა, რომელშიც თანაბარი სიძლიერის ვაჟებმა და ქალებმა მოიყარეს თავი.

ამას ვერ ვიტყვით „ბურევესტნიკის“ გუნდზე, სადაც ქალები აშკარად სუსტად გამოიყურებოდნენ. სამაგიეროდ, „ბურევესტნიკს“ ვაჟთა ძლიერი კოლექტივი ჰყავდა. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა: „ბურევესტნიკმა“ მხოლოდ III ადგილი დაიკავა. „განთიადის“ ბადმინტონისტები II ადგილზე გავიდნენ.

ქალთა წყვილებში ჩემპიონები გახდნენ ევტუხინა და ბექანოვა, ვაჟებში კი — დავიდოვი და ბორიაკი.

აქვე დავსძენთ, რომ თუ ახლავე არ მიექცა ყურადღება მოსწავლეთა მომზადებას, მოზარდთა კარზე მომდგარ საზაფხულო თამაშებში სახარბიელო შედეგების იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

**გ. სამსონაძე,**
**საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.**

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# ფეხბურთზე... მინდორს მიღმა

**ფ**ეხბურთის მოყვარულებს მუდამ სურთ იცოდნენ თავიანთი გუნდის შესახებ გაცილებით მეტი, ვიდრე სტადიონის მწვანე მინდორზე ხედავენ. ამიტომ არის, რომ გულშემატკივრები ხშირად მიმართავენ შეკითხვებით როგორც რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას, ისე ჩვენ — „ლელოს“ რედაქციას.

განსაკუთრებით ბევრი წერილი მივიღეთ ბოლო ხანს. რედაქციამ გაითვალისწინა სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი და დღეს ვაქვეყნებთ ჩვენი კორესპონდენტის ო. ნოზაძის საუბარს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელთან, უკრაინისა და საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელ ვ. სოლოვიოვთან.

● **თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრებს აინტერესებთ, ხომ არაა გუნდის რომელიმე ფეხბურთელი, ასე ვთქვათ, „თამაშგარე მდგომარეობაში“ ავადმყოფობის ან ტრავმის გამო? რით აიხსნება, რომ მინდორზე ველარ ვხედავთ მესხსა და დათუნაშვილს?**

— არა, ამ მხრივ ჩვენს გუნდში ცუდი მდგომარეობა არაა — დღეს მწყობრშია ყველა ფეხბურთელი. რაც შეეხება მესხსა და დათუნაშვილს, ისინი იძულებული იყვნენ კარგა ხნით შეეწყვიტათ ვარჯიში. მესხი „ენძელას“ გათამაშებაში დაშავდა და, კონტრაკაძისგან განსხვავებით, ვერ შეძლო მინდორს დაბრუნებოდა. იმედი მაქვს, იგი ისევ გამოვა სარბიელზე, მაგრამ როდის, ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. დათუნაშვილს ღვიძლი სტკიოდა და თითქმის სამი თვით მოსწყდა კოლექტივს. 15 მაისს გულშემატკივრებმა წლეულს პირველად იხილეს იგი სათადარიგო შემადგენლობაში ლუგანსკის „ზარიასთან“ მატჩში. ილიამ ბურთიც გაიტანა, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ იგი კვლავ ძირითადი შემადგენლობის კანდიდატია.

● **გ. სიჭინავა კვლავ „დინამოშია“. თითქოს ცუდად არ თამაშობს, მაგრამ ზოგიერთი მაყურებელი მთლად კმაყოფილი არ არის მისი თამაშით. თქვენ რას იტყოდით?**

— გიორგი სიჭინავას საფეხბურთო ნიჭს, რომ იტყვიან, კომენტარი არ სჭირდება. მაგრამ იგი გარკვეული დროით გარიცხული იყო გუნდიდან, რაც, ცხადია, დიდი სულიერი ტრავმა იყო ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის. ეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ სიჭინავამ მუხლის სახსრის რთული ოპერაცია გადაიტანა. ყოველივე ამის გამო პირველ ხანებში მისი დიდი დატვირთვა არ შეიძლებოდა. ახლა იგი მატჩიდან მატჩამდე შედის ფორმაში.

● **რატომ დაეცა ახალგაზრდა ფეხბურთელების გ. ნოდიასა და ასათიანის თამაშის კლასი?**

— ნოდია და ასათიანი თითქმის სამი თვის მანძილზე იყვნენ გაწვეული სსრ კავშირის ნაკრებში და თავიანთ კოლექტივს უნებურად მოსწყდნენ. იქ მათ ინტენსიურადაც ავარჯიშებდნენ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნაკრებს სულ სხვა მიზნები და ამოცანები აქვს და მისი მზადებაც სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. ჩემი აზრით, ნოდიამ და ასათიანმა ფორმა იმიტომ დაკარგეს, რომ უბრალოდ გაატარეს დრო ნაკრების სათადარიგო სკამზე. მეორე მიზეზი, რამაც მათი თამაშის კლასის დაცემა გამოიწვია, ტრავმები გახლდათ.

სხვათა შორის გ. ნოდია ხურცილავასთან ერთად ახლა კვლავ მიწვეულია ნაკრებში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურ გუნდთან შეხვედრისთვის ემზადება.

● **რამდენიმე სიტყვა კიდევ ორ ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელზე — შერგელაშვილსა და გავაშელზე. ბევრს აინტერესებს, რატომ გამოგყავთ გავაშელი მეთერთმეტე ნომრად — იგი ხომ მაინც ცენტრში თამაშობს?**

— განა სულ ერთი არაა, რა ციფრი ეწერება ფეხბურთელს მაისურზე? ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, უფრო ხშირად კი ეს მიზეზები ტაქტიკური ხასიათისაა. მთავარია, რომ გავაშელი ნიჭიერი ფეხბურთელია (სხვათა შორის, იგი გაგრიდანაა, როგორც ბარქაია და გ. სიჭინავა), მას ყოველთვის კარისკენ უჭირავს თვალი და დღეისთვის ჩვენი მთავარი ბომბარდირია. იმედი მაქვს, რომ გავაშელი კიდევ უფრო დახვეწს თამაშის ტექნიკას და ფეხბურთის კარგი ოსტატი დადგება.

უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია შერგელაშვილიც. ახლა იგი საქართველოს მეორე გუნდს — ქუთაისის „ტორპედოს“ გადავეცით. ავტოქარხნელებს იგი უფრო სჭირდებათ. ჩვენ სხვა ფეხბურთელებიც შევთავაზეთ ტორპედოელებს, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ არჩევანი შერგელაშვილზე შეაჩერა.

● **იქნებ ამის თქმა ზედმეტი გულახდილობა იყოს, მაგრამ ფეხბურთის ზოგიერთ გულშემატკივარს თქვენ დაცვითი ფეხბურთის აპოლოგეტად მიაჩნიხართ. სწორია მათი შეხედულება?**

— არამც და არამც! ქართული ფეხბურთი თავისი ბუნებით შემტევი, აგრესიული ფეხბურთია და არავის არა აქვს უფლება დაუკარგოს მას თავისი სახე. სულ სხვა ამბავია, თუ როგორ გესმის ფეხბურთი, უფრო სწორად, თანამედროვე ფეხბურთი. ზოგს ჰგონია, თუ თავდასხმაში 5, 6 და 7 კაცი თამაშობს, ეს შემტევი ფეხბურთია. მაგრამ აბა დაუკვირდით უცხოეთის საუკეთესო გუნდებს ან ჩვენი ფეხბურთის ლიდერებს. წინა ხაზზე, როგორც წესი, ორი-სამი ფეხბურთელი დგას, მაგრამ „დაცვით განწყობილებას“ გუნდს ვინ დასწამებს. ბოლოსდაბოლოს საქმე რაოდენობაში კი არაა, არამედ ხარისხში. შინაარსი და არა ფორმა! როცა მინდორზე ხელსაყრელი სიტუაციაა, ჩვენ ვუტევთ ნახევარდაცვით და დაცვითაც, მაგრამ გუნდმა განუწყვეტლივ რომ შეტევაზე იზრუნოს, არც ეს შეიძლება. მეტოქე უმალვე დაგსჯის გატანილი გოლის სახით. ნუ დაივიწყებთ, რომ ბურთის გატანაზე მეტოქეც ფიქრობს (ახლა კი სუსტი გუნდები აღარ არიან). მოდით, მოვუწოდოთ ჩვენს გულშემატკივრებს, ნუ შეუშლიან ფეხბურთელებს ხელს უსაფუძვლო, შეურაცხმყოფელი შეძახილებით თამაშის დროს. ვიქონიოთ მოთმინება... ფინალურ სასტვენამდე მაინც!

● **ბოლო შეკითხვა ჩვენს სათადარიგო შემადგენლობას ეხება. ფეხბურთის ქომაგები კმაყოფილი არიან ახალგაზრდებით, თქვენ?**

— სათადარიგო გუნდი, რომ იტყვიან, დიდი ფეხბურთის ლაბორატორიაა. „დინამოს“ ხელმძღვანელობა გამუდმებით ეძებს, არჩევს ნიჭიერ ფეხბურთელებს, რომლებიც ნამდვილ მეტოქეობას გაუწევენ აღიარებულ ოსტატებს. ეს შერჩევა დღესაც გრძელდება და, ალბათ, არასდროს დასრულდება. ახლა ჩვენი სათადარიგო შემადგენლობა მართლაც კარგად თამაშობს, რადგან ნიჭიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: თავდამსხმელები ლ. ნოდია, გ. ქიქავა, მ. მაჩაიძე, ს. ქორიძე, მცველები ფ. კანთელაძე და ვ. კოზინი, მეკარე დ. გოგია.

იმედი მაქვს, რომ ეს 18-19 წლის მოთამაშეები თავიანთ ამხანაგებთან ერთად სულ მალე დიდი ფეხბურთის კარს შეაღებენ.

---

„ა“ ჯგუფი
I

„კრილია სოვეტოვისა“ და „კაირატის“ შეხვედრაში, რომელიც 17 მაისს შედგა კუიბიშევში, როგორც ვიტყობინებოდით, გაიმარჯვეს მასპინძლებმა. პირველი ბურთი მათ 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანეს: „კაირატის“ მეკარე ბუბენეცმა პენალტი მოიგერია, მაგრამ ბურთს მიუსწრო ფუკოვმა და გახსნა ანგარიში. მეორე გოლი ფინალური სასტვენის წინ გაიტანა არიაპოვმა — 2:0.

---

„ა“ ჯგუფი

17 მაისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები რსფსრ-ს ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### რუსთავიდან...

ადგილობრივი „მეტალურგის“ შეხვედრას გორის „დილასთან“ ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით მოელოდნენ და მატჩმა არ გააწბილა მათი იმედი: ბრძოლა იყო დაძაბული, ორივე გუნდი მოქმედებდა ენერგიულად და მონდომებით.

მეტალურგებმა საგრძნობი უპირატესობით დაიწყეს თამაში და გორელთა მეკარე თბილელაშვილს 2-3 ძნელი ბურთის აღება მოუხდა. ტაიმის დასასრულს რამდენიმე კარგი კომბინაცია გაითამაშა „დილამ“ და საგოლე მომენტები ახლა უკვე მასპინძელთა კართან შეიქმნა.

ასევე ცოცხლად მიმდინარეობდა მეორე ტაიმი. როგორც თბილელაშვილი, ისე „მეტალურგის“ მეკარე ჩლაიძე რამდენიმეჯერ აღმოჩნდნენ აშკარა ხიფათის წინაშე, მაგრამ გოლი ამ მატჩში არ იქნა გატანილი — 0:0.

**რ. გაბრიჩიძე.**

### სოხუმიდან...

ადგილობრივი „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ მატჩი ერთობ „ორიგინალურად“ დაიწყო: მიმდინარეობდა მე-3 წუთი და მეტოქეებს უკვე თითოჯერ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან. ჯერ ანგარიში გახსნა წოწორიამ, ხოლო შემდეგ მეხთიშაშვილმა გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:1.

ტაიმი მთლიანად ლანჩხუთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. სოხუმელებმა ვერ გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა მეტოქეს. ისინი ღრმა დაცვაში მოქმედებდნენ და თუ მათი კარი არ იქნა აღებული, ეს მხოლოდ „გურიის“ თავდამსხმელთა უუნარობას უნდა მიეწეროს. სოხუმელები რამდენიმეჯერ გადაურჩნენ აშკარა გოლს.

ასევე მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც და სტუმრებმა ისევ ვერ შეძლეს თავიანთი დიდი უპირატესობის გამოყენება. მატჩის მიწურულს დინამოელთა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა გოლით დაამთავრა გაბლიამ.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა სოხუმის „დინამომ“, თუმცა გუნდი კვლავ ძალიან სუსტად თამაშობს.

**ზ. ჯალაღონია.**

### ზუგდიდიდან...

„ენგური“ თავის მინდორზე მასპინძლობდა მახარაძის „მერცხალს“. მოწინააღმდეგეებმა ნელ ტემპში დაიწყეს თამაში და პირველი 20 წუთის მანძილზე ბურთი არ გასცილებია მინდვრის ცენტრს. ამის შემდეგ ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ და „ენგური“ მხოლოდ ეპიზოდურ კონტრიერიშებს დასჯერდა.

შესვენების შემდეგ ზუგდიდელებმა გააძლიერეს იერიშები და თამაშმა მახარაძელთა ნახევარზე გადაინაცვლა. მიუხედავად შემდგომი დაძაბული ბრძოლისა, თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

**ბ. ალშიბაია.**

### ფოთიდან...

ადგილობრივი „კოლხეთისა“ და ქობულეთის „შუქურას“ შეხვედრაში მასპინძლებმა კარგა ხანს ვერ ააწყვეს თამაში და ტერიტორიული უპირატესობა „შუქურას“ დაუთმეს. ქობულეთელებმა პირველებმა გაიტანეს გოლი. ეს მოხდა 55-ე წუთზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო „კოლხეთმა“ თამაშში გარდატეხის შეტანა. გუნდი ნამდვილ შტურმზე გადავიდა და როცა მატჩის დასასრულს ათიოდე წუთი აკლდა, ფილიამ გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

**ა. ლომაია.**

### სხვა შეხვედრები

„ტორპედო“ (არმავირი) — „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) 3:2, „უროჟაი“ (ლაბინსკი) — „დაშკინი“ (ზაქათალა) 1:1, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „არაზი“ (ნახიჭევანი) 2:0, „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) — „ტრუდი“ (ენგელსი) 2:2, „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) — „ენერგია“ (ვოლჟსკი) 0:1, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „ხიმიკი“ (ნევინომისკი) 4:0, „სპარტაკი“ (ბელგოროდი) — „უროჟაი“ (სლავიანსკი) 3:0, „არაქსი“ (ეჩმიაძინი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 0:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 1:1, „უროჟაი“ (გროზნო) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1, „ირისთონი“ (მოზდოკი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0, „ტრუდი“ (კასპიისკი) — „უროჟაი“ (კრიმსკი) 1:1.

---

## გათამაშების ცხრილები

### III ქვეჯგუფი

„ა“ ჯგუფი
II

**ძირითადი შემადგენლობანი**

მდგომარეობა 19 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 8 | 5 | 2 | 1 | 10—5 | 12 |
| „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) | 8 | 4 | 3 | 1 | 11—8 | 11 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 8 | 3 | 4 | 1 | 10—6 | 10 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 7 | 3 | 4 | 0 | 4—0 | 10 |
| „თერგი“ (გროზნო) | 7 | 4 | 2 | 1 | 8—5 | 10 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 8 | 3 | 4 | 1 | 7—5 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 8 | 3 | 2 | 3 | 10—5 | 8 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 7 | 2 | 4 | 1 | 5—2 | 8 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 7 | 3 | 2 | 2 | 6—4 | 8 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 8 | 3 | 2 | 3 | 5—7 | 8 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 8 | 1 | 5 | 2 | 9—9 | 7 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—5 | 7 |
| „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) | 8 | 2 | 3 | 3 | 7—10 | 7 |
| „ვოლგა“ (ულიანოვსკი) | 8 | 3 | 0 | 5 | 11—10 | 6 |
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 7 | 2 | 2 | 3 | 3—4 | 6 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 7 | 2 | 2 | 3 | 3—4 | 6 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 8 | 1 | 4 | 3 | 4—7 | 6 |
| „ზენიტი“ (იჟევსკი) | 8 | 1 | 4 | 3 | 3—8 | 6 |
| „სტროიტელი“ (უფა) | 8 | 0 | 5 | 3 | 7—13 | 5 |
| „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) | 7 | 1 | 2 | 4 | 6—9 | 4 |
| „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) | 8 | 1 | 2 | 5 | 6—17 | 4 |

## ჭაბუკთა მოსამზადებელი გუნდების შეჯიბრება

მდგომარეობა 15 მაისისათვის

### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 6 | 5 | 1 | 0 | 17—2 | 11 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 6 | 5 | 1 | 0 | 14—1 | 11 |
| განათლების სამ-ბა (თბილისი) | 5 | 4 | 1 | 0 | 9—3 | 9 |
| ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბ.) | 4 | 4 | 0 | 0 | 10—0 | 8 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 4 | 4 | 0 | 0 | 9—1 | 8 |
| მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—4 | 4 |
| „ქარიშხალა“ (თბილისი) | 5 | 1 | 2 | 2 | 8—10 | 4 |
| „კახეთი“ (თელავი) | 6 | 0 | 2 | 4 | 4—10 | 2 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 6 | 0 | 2 | 4 | 8—22 | 2 |
| „შრ. რეზერვები“ (თბილისი) | 5 | 0 | 1 | 4 | 0—9 | 1 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 5 | 0 | 0 | 5 | 0—10 | 0 |
| „დილა“ (გორი) | 6 | 0 | 0 | 6 | 1—10 | 0 |

### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) | 6 | 4 | 2 | 0 | 13—5 | 10 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 5 | 4 | 0 | 1 | 14—1 | 8 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 5 | 4 | 0 | 1 | 9—5 | 8 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 5 | 3 | 1 | 1 | 5—3 | 7 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 6 | 3 | 0 | 3 | 17—6 | 6 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 6 | 2 | 2 | 2 | 12—10 | 6 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 5 | 2 | 2 | 1 | 7—7 | 6 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 6 | 2 | 0 | 4 | 4—5 | 4 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 5 | 1 | 2 | 2 | 7—8 | 4 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 5 | 0 | 1 | 4 | 4—23 | 1 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 6 | 0 | 0 | 6 | 1—20 | 0 |



თერჯოლის სპორტსკოლის აღსაზრდელები გატაცებით მეცადინეობენ ფეხბურთის, ხელბურთის, მძლეოსნობის, თავისუფალი ჭიდაობისა და ფარიკაობის ჯგუფებში.

ს უ რ ა თ ზ ე: სპორტსკოლის ნორჩი ფეხბურთელები ვარჯიშის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა
















1. პირველ დასვენების დღეს, 15 მაისს, ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მონაწილეებს, მათ მწვრთნელებსა და მსაჯებს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი მასპინძლობდა. სტუმრებს საწარმოს მუშაობაზე ესაუბრა დირექტორი მ. ბაბუნაშვილი (სურათზე მარჯვნივ). სხვათა შორის, მან თქვა, რომ უახლოეს ხანში კომბინატი გამოუშვებს ქალის ახალ საპალტოე ქსოვილს — „ნონას“.

კომბინატის მესვეურებმა სტუმრებს ჯვრის მონასტერი და მცხეთის ღირსშესანიშნაობებიც დაათვალიერებინეს.

2-3. გამოჩენილი მოჭადრაკე, სპორტის დამსახურებული ოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ტატიანა ზატულოვსკაია (მარჯვნივ) მოიხიბლა კომბინატის ტერიტორიაზე გაშენებული ვარდის ხეივნით. ვარდის სურნელებამ დაათრო უნგრელი ოსტატი ჟუჟა ვერეციც.

4. ჯვრის მონასტერი.

— როცა თბილისში ჩამოვდივარ, ახლა კი მესამედ ვარ თქვენს ქალაქში, მუდამ დიდი მღელვარებით ვათვალიერებ ჯვრის მონასტერს, — ამბობს ჩეხოსლოვაკიელი საერთაშორისო ოსტატი კვეტა ერეტოვა. იგი გვთხოვს მწვანე მოლზე, გზის პირას გადავუღოთ სურათი.

— ლოდებით გაწყობილი ეს მისასვლელი ძველი რომის გზას მაგონებს, — შენიშნავს სტუმარი.

5. ცნობილი რუმინელი საერთაშორისო ოსტატი ელზბეტ პოლიქრონიადე (მარცხნივ) და ოსტატი ეველინ ნიუნბერტი (გდრ) უზიარებენ ერთმანეთს ჯვრის მონასტერში მიღებულ შთაბეჭდილებას.

6. ჰოლანდიელი საერთაშორისო ოსტატი კორი ვრეკენი ფოტოგრაფიის დიდი მოყვარული აღმოჩნდა.

— აქ ყველაფერს გმირული წარსულის ელფერი დაჰკრავს. მინდა შინ სურათებიც წავიღო, — ეუბნება ვრეკენი ჟუჟა ვერეცის და საქართველოს ექს-ჩემპიონს რომან ჯინჯიხაშვილს სამახსოვრო სურათის გადაღებისას.

ფოტორეპორტაჟი ბ. ქვათაძისა,

# სტუდენტთა თამაშები

## სათანრიგო შედეგებით

შვიდმა უმაღლესმა სასწავლებელმა ცეცხლის ხაზზე სულ 32 მსროლელი გამოიყვანა. სტუდენტთა თამაშების საერთო ფონზე მსროლელთა შედეგები უთუოდ კარგია: 32-დან 24 სპორტსმენმა სათანრიგო ნორმატივით დაამთავრა შეჯიბრება: ექვსმა ოსტატობის კანდიდატის ნორმა აჩვენა, თერთმეტმა — პირველი თანრიგისა, შვიდმა — მეორე თანრიგისა.

გუნდურ ასპარეზობაში უძლიერესი აღმოჩნდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები (6 საჯარიმო ქულა), II ადგილზე გავიდნენ უნივერსიტეტელები (14), III — ქუთაისის პედინსტიტუტის წარმომადგენლები (18).

სხვადასხვა მდგომარეობიდან და სხვადასხვა იარაღით სროლაში თამაშების ჩემპიონები გახდნენ: ქალები. ე. კერნოჟიცკაია (თსუ), რ. წურწუმია (კონსერვატორია), ე. რამიშვილი (ქუთაისის პედინსტიტუტი), მ. ღვინერია (თსუ), ვაჟები. მ. ჟამურაშვილი (გაიმარჯვა ორ სახეობაში), ა. შამეკო, გ. სკრიპნიკოვი (სამივე — სპი).

და მაინც, სასაყვედურო გვაქვს: თავი დავანებოთ იმას, რომ უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობამ ვერ მიიღო მონაწილეობა ტურნირში. საქმე ის არის, რომ ზოგიერთ სახეობაში სარბიელზე მხოლოდ 2-4 მსროლელი გამოვიდა.

## ხელბურთმა ყველგან მოიკიდა ფეხი

ეს იქიდანაც ჩანს, რომ სტუდენტთა თამაშებში ვაჟთა 14 და ქალთა 10 გუნდი გამოვიდა.

ვაჟები ოთხ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ქვეჯგუფებში პირველობა მოიპოვეს უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდებმა. ფინალური მატჩების შემდეგ მოასპარეზეებმა სწორედ ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს პირველი 4 ადგილი.

ქალებმა თავდაპირველად სამ ქვეჯგუფში იასპარეზეს. აქ გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და თბილისის პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ხელბურთელებმა. ამ სამეულმა დაძაბული ბრძოლა გააჩაღა I ადგილისთვის. საბოლოოდ იმარჯვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრებმა, რომელმაც ჯერ პედინსტიტუტის გუნდი დაამარცხა (8:7), შემდეგ კი უნივერსიტეტისა (15:12). უნივერსიტეტელებმა, რომლებმაც დაამარცხეს პედინსტიტუტის ხელბურთელები (11:10), II ადგილი დაიკავეს.

## მხოლოდ 1 ქულით

8 უმაღლესი სასწავლებლის 58 ათლეტი ეჯიბრებოდა ერთმანეთს კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდური პირველობა მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტმა (43 ქულა). პოლიტექნიკური ინსტიტუტის ათლეტები მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულს. III ადგილი დაიკავა უნივერსიტეტის კოლექტივმა (27).

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. ხარაზოვი, ა. ისახანოვი (ორივე — ფიზკ. ინსტ.), თ. კუპრაშვილი (თსუ), თ. ფილიშვილი, ს. ჭაჭიაშვილი, გ. ჭელიძე (ყველა — სპი), ა. კურტანიძე (ფიზკ. ინსტ.), მ. ჩიბურდანიძე (სპი).

„ლელოს“ ბრიგადა.

## მონაწილეობდა 51 სპორტსმენი

სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზში ჩატარდა რუსთავის პირადი პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობდა 51 სპორტსმენი.

პირველთანრიგოსანთა შორის გაიმარჯვა მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. კინწურაშვილმა. მოზრდილთა მეორე თანრიგში ყველას აჯობა თ. გასიჩმა (მე-9 სკოლა), ხოლო მოზარდთა შორის — ნ. გოხბერგმა (1-ლი სკოლა).

ახალბედებს შორის I-II ადგილები გაიყვეს ე. ფანცქალაშვილმა და კ. მამიკონიანმა.

(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

## ლაზიერისა და კუს მანევრით

ო. ვიურცბურგისა და პ. ლევეშინსკის საჭადრაკო ამოცანები, რომლებიც „ლელოს“ 21 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა, სწორად ამოხსნეს: მ. ფარცხალაძემ (ზესტაფონი), დ. გურგენიძემ (საგარეჯოს რაიონი, სოფ. ჩაილური), გ. ერთგულაშვილმა (ახმეტა), ე. გოგოძურმა (გარდაბნის რაიონი, სოფ. სართიჭალა), მ. კურტანიძემ (დ. ორჯონიკიძე), ბათუმის პედინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებმა, ნ. ტყაბლაძემ (ტყიბული, სოფ. ღლევა) და ა. ქუხილავამ (წალენჯიხის რაიონი, სოფ. ჯვარი).

ლ. ლობჟანიძემ (ონის რაიონი, სოფ. ღები), ო. ობოლაძემ (ტყიბული, სოფ. ხრესილი) და ზ. ყაზაროვმა (გურჯაანის რაიონი, სოფ. ველისციხე) მხოლოდ პ. ლევეშინსკის ამოცანა ამოხსნეს.

ამოცანების პასუხებია: № 1. 1.ლg7 მფe2 2.ლd4. № 2. 1. კa2 d5 2. d4.

## ყველა მეფეს ემუქრება

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ტ. ზატულოვსკაია (ბაქო) — 4,5, ე. კაკაბაძე — 4 (2), ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) — 4 (1), ა. ჩაიკოვსკაია, ც. კობაიძე, კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 4-4.

VI ტური. პოლიქრონიადე — ქ. რაძიკოვსკა (პოლონეთი) 1:0, ნ. ხუბულური — ზატულოვსკაია 0:1, ც. კობაიძე — მ. სანაძე 1:0, ნ. ალექსანდრია — ერეტოვა 1:0, ჩაიკოვსკაია — კაკაბაძე 0,5:0,5, სკეგინა — ჟ. ვერეცი (უნგრეთი), კ. ვრეკენი (ჰოლანდია) — ე. ნიუნბერტი (გდრ), თ. ხუგაშვილი — ც. კახაბრიშვილი (სამივე პარტია გადაიდო.

როგორც ჩანს, ფუტკარივით მშრომელი კაკაბაძისთვისაც ძნელია ყოველდღე მძაფრი შემოქმედებითი ბრძოლა. მით უმეტეს, როცა მეტოქე ჯიუტად მიილტვის ყაიმისკენ: ჩაიკოვსკაიამ ჯერ იყო და მე-7 სვლაზე ლაზიერები გაცვალა, ხოლო მე-19 სვლისთვის დაფიდან ეტლებიც გაქრა.

პირველი გამარჯვება იზეიმა ალექსანდრიამ, ხოლო ხუბულური პირველად დამარცხდა. ერეტოვამ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. ამიტომ მოკრძალებით გაითამაშა ესპანური პარტიის საიმედო სისტემა. ალექსანდრია თავად ეძებდა გართულებებს. გრძელი როქის შემდეგ, რაც უჩვეულოა ესპანურ პარტიაში, მან ლაზიერით და ორივე ეტლით თამამად შეუტია ერეტოვას მეფეს. მერე კი, 28-ე სვლაზე მხედრის შეწირვით ჩეხოსლოვაკიელს ფარხმალი დააყრევინა.

ხუბულურმა ზატულოვსკაიასთან უნაკლოდ გაითამაშა სიცილიური დაცვა, მაგრამ მიტელშპილში გადასვლისას თბილისელი მოსწავლე შეცდა: მეტოქეს ცენტრი გაარღვევინა და ხარისხი დაკარგა. დანაკლისი იმდენად საგრძნობი იყო, რომ მე-19 სვლაზე ხუბულურმა თამაში შეწყვიტა.

მეთოდურად მიიწევს წინ პოლიქრონიადე. რაძიკოვსკას მან თანაბარი ენდშპილი მოუგო. სხვათა შორის, შეიმჩნევა, რომ პოლონელი ოსტატი ხშირად სცოდავს დაბოლოებათა თამაშში.

გადადებული პარტიებიდან აღსანიშნავია ხუგაშვილის მცირე უპირატესობა (ზედმეტი პაიკი) მსუბუქი ფიგურების ენდშპილში. კახაბრიშვილის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ იგი ყაიმის შანსს ინარჩუნებს.

VII ტური. რაძიკოვსკა — ხუგაშვილი 0:1, ერეტოვა — ხუბულური 1:0, ზატულოვსკაია — კობაიძე — 0,5:0,5, ვერეცი — ჩაიკოვსკაია 1:0, სანაძე — ვრეკენი 0:1, ნიუნბერტი — პოლიქრონიადე, კაკაბაძე — ალექსანდრია, კახაბრიშვილი — სკეგინა (სამივე პარტია გადაიდო).

ვერეციმ ისეთი ძალით დალაშქრა ჩაიკოვსკაიას მეფე, რომ იგი ლამაზი იერიშისთვის საგანგებო ჯილდოს ღირსია. ეს თბილისელი ოსტატის პირველი მარცხია ამ ტურნირში.

მოულოდნელად დასრულდა რაძიკოვსკა — ხუგაშვილის შეხვედრა. ფიქრის მოყვარულმა პოლონელმა მოჭადრაკემ დაახლოებით თანაბარ პოზიციაში დროს გადააცილა. ერეტოვას იერიში ხუბულურის მეფეზე სასიკვდილო აღმოჩნდა.

ყველა აღელვა კაკაბაძე — ალექსანდრიას პარტიის მსვლელობამ. მოგების შანსი ხან ალექსანდრიას ჰქონდა, ხანაც — კაკაბაძეს. პარტია გადაიდო უაღრესად მწვავე პოზიციაში.

პოლიქრონიადემ რთულ მდგომარეობაში ლაზიერი წააგო, მაგრამ პარტია მაინც გადადო.

თ. გიორგაძე.

# ბოიკოტისთვის ბრძოლა გრძელდება

მაშ ასე, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეცვალა თავისი სამარცხვინო გადაწყვეტილება მექსიკის ოლიმპიადაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაწილეობის თაობაზე. გამართლდა მტკიცე პოზიცია 40-ზე მეტი ქვეყნისა, მათ შორის, სსრ კავშირისა, რომელიც მუდამ შეურიგებლად ებრძოდა რასიზმის გამოვლინებას სპორტში.

აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დ. რობიმ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე განაცხადა, რომ თითქოს ამერიკის ნაკრების ზანგი წევრების ბოიკოტის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. მაგრამ ასეა თუ არა სინამდვილეში?

საბოიკოტო მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ბოლო ხანს მართლაც შეუერთდა ოლიმპიურ თამაშებში რასისტების მონაწილეობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ზანგი სპორტსმენების ბრძოლა გაცილებით ადრე დაიწყო და გამოწვეული იყო სულ სხვა მიზეზით. სახელდობრ: ამერიკის ზანგმა სპორტსმენებმა სურვილი გამოთქვეს, რომ თავის ხალხთან ერთად ებრძოლათ რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ.

„ზანგების ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისთვის კიდევ ერთ ახალ ფაზაში შევიდა. თანდათან სულ უფრო მეტი დამცირებული და შეურაცხყოფილი ზანგი სპორტსმენი თავისებურად ცდილობს პროტესტი გამოთქვას: ისინი უარს ამბობენ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. ბოიკოტი მხოლოდ მეხიკოს ოლიმპიადით როდი განისაზღვრება. იგი ეხება სტუდენტთა შეჯიბრებებსაც, ვინაიდან ბოიკოტის ცენტრები სწორედ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებშია", — წერს ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული ჟურნალი „ლაიფი". ზანგ სპორტსმენთა მოძრაობისადმი მიძღვნილ საგანგებო წერილში „ლაიფი" პირველ ყოვლისა აღნიშნავს, რომ თამაშების ბოიკოტის იდეა წარმოიშვა ნიუ-იორკის კონფერენციაზე „შარმანდელი ზაფხულის აჯანყებისთანავე". თვითეულისთვის ნათელია, რომ სპორტსმენების ბრძოლა მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა თანასწორობისა და მოქალაქეობრივი უფლებებისთვის ზანგი ხალხის საერთო ბრძოლისა.

ფაქტები მეტყველებენ, რომ ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას არავინ აპირებს, თუმცა ეს გულით სწადია ბატონ რობის. ხომ ცნობილია, რომ გამოჩენილი ზანგი ათლეტებიც კი, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე სახელს უხვეჭენ თავიანთ ქვეყანას, სამშობლოში დაბრუნებისთანავე „მეორეხარისხოვან მოქალაქეებად" იქცევიან ხოლმე.

აი, თუნდაც რამდენიმე უკანასკნელი მაგალითი. ნიჭიერი ზანგი სპორტსმენების ნაწილი სან-ხოსეს კოლეჯში მიიღეს (სპორტული ტალანტი რომ არ გამოეჩინათ, მათ არც კი გააკარებდნენ ამ სასწავლებელს). სპორტსმენებს აღუთქვეს კარგი ბინა, ცხოვრების ნორმალური პირობები, მაგრამ როცა სახლის პატრონებმა — რასისტებმა მათ ბინა არ მიაქირავეს, ზანგებს არავინ დაეხმარა. პირიქით, მათ ირგვლივ შეიქმნა მტრული ატმოსფერო, რომელიც ზანგთა მოძრაობის აღმავლობის დღეებში განსაკუთრებით დაიძაბა.

„ლაიფის" კორესპონდენტები იყვნენ აშშ-ს სხვადასხვა შტატის შვიდ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში. ყველა ზანგი სპორტსმენი ამბობს, რომ თეთრებთან შედარებით თავს „მეორეხარისხოვან მოქალაქედ" გრძნობს. სახელგანთქმულ ზანგ სპორტსმენთა უმრავლესობას ოლიმპიურ დიდებას თავის თანამოძმეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ერჩია.

ცნობილი ფრანგი რეპორტიორი ი. ლეფლოკი, რომელმაც აშშ-ს ზანგ სპორტსმენთა მდგომარეობა შეისწავლა, დაასკვნის: ამერიკის სპორტში არსებობს სამარცხვინო რასობრივი დისკრიმინაცია, რასაც ხელს უწყობენ სპორტული ხელმძღვანელებიი. „სპორტის ცალკეული სახეობები ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე მხოლოდ თეთრკანიანებისთვისაა მისაწვდომი. ასეთია მაგალითად, ცურვა. და იშვიათი როდია, რომ ოლიმპიური სპორტული სულისკვეთების დროშით ზოგიერთები რასისტულ მანევრებს აწყობენ", — წერს ფრანგი ჟურნალისტი.

და ყოველივე ამის შემდეგ ბატონი რობი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ „ბოიკოტის მიზეზები ლიკვიდირებულია!" გავეცნოთ თვით რობის პოზიციას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საკითხში. იგი არც მალავს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში რასისტების სასარგებლოდ მისცა ხმა. კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ რობიმ ცრემლი ღვარა.

ძნელი წარმოსადგენი როდია, როგორ ექცევიან ზანგ ათლეტებს აშშ-ს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მესვეურები, თუ მათი პრეზიდენტი რასისტებთან სოლიდარობის მსურველია.

სოციოლოგიის პროფესორმა თ. ედვარდსმა, საბოიკოტო მოძრაობის ერთ-ერთმა თაოსანმა, რასისტების ხელით მხეცურად მოკლული მარტინ ლუთერ კინგის თანამებრძოლმა, ამ დღეებში თქვა:

„ზანგი სპორტსმენები მუდამ თავის ხალხთან იყვნენ და ახლაც მასთან რჩებიან. ამჟამად ბევრი ფერადკანიანი ათლეტი მონაწილეობს ვაშინგტონის მარშში. გრძელდება ამერიკელ ზანგთა ბრძოლა უფლებებისთვის, გრძელდება ბოიკოტისთვის ბრძოლაც".

ა. ბურკოვი.



მას განსაკუთრებული არაფერი მოუხდენია სპორტში. ნიჭიერი ახალგაზრდა ათლეტის ბიოგრაფია საოცრად ჰგავს მისი თანატოლების სპორტულ გზას, ოღონდ...

გივი ყვარელაშვილს ბედი მეტწილად სწყალობდა, თუმცა მისგან განებივრებული არასდროს ყოფილა. ყოველი წარმატება, ახალგაზრდა სპორტსმენის ყოველი თუნდაც უმნიშვნელო გამარჯვება მძიმე და დაუღალავი შრომის შედეგი გახლდათ.

სწორედ ამიტომაა მისთვის ასეთი საპატიო და ძვირფასი რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი, რომელიც გივიმ, თავისი 23 წლის მიუხედავად, უკვე ხუთჯერ მოიპოვა. 1963 წელს სულ ახალგაზრდა ათლეტმა სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა თავისუფალ ჭიდაობაში, 3 წლის შემდეგ კი მას პირველი პრიზი ერგო სტუდენტთა საკავშირო თამაშებში.

სსრ კავშირის პირველობა მოჭიდავეთა ოსტატობის თავისებური უნივერსიტეტია, რომელიც საგულდაგულოდ ამოწმებს სპორტსმენთა მრავალი წლის შრომისა და მეცადინეობის შედეგს. სწორედ ამ „უნივერსიტეტში" გამოიჩინა წლეულს თავი გ. ყვარელაშვილმა. საჭიდაო ოლიმპოს შტურმს იგი ბრინჯაოს მედლით შეუდგა. ეს ნადავლი ათლეტმა ისეთ სახელოვან ოსტატებთან ორთაბრძოლაში მოიპოვა, როგორიც არიან მახაჩყალელი ზ. აბდულბეკოვი და მოსკოველი ვ. კაზახოვი.

დასაწყისი კარგია, — ასე ფიქრობენ გივიცა და მისი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილიც, რომელმაც ჯერ მარტო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელით არა ერთი და ორი უმაღლესი კლასის ოსტატი აღზარდა (გივიც ხომ ამ ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია). მაგრამ იმისთვის, რომ ბრინჯაო უფრო კეთილშობილ ლითონად იქცეს. საჭიროა შრომა და... ისევ შრომა. და აი, მწვრთნელიც და სპორტსმენიც შრომობენ, ვარჯიშობენ, სწავლობენ...

ს უ რ ა თ ზ ე: გ. როსტიაშვილი (მარცხნივ) და გ. ყვარელაშვილი მორიგი ილეთის ერთობლივი დამუშავების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# ყველაზე პატარა გუნდით...

კოლომბო, 16 მაისი. ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მეხიკოს მომავალ ოლიმპიურ თამაშებში ცეილონის სახელით გამოვლენ აზიური სტანდარტების მიხედვით საკმაოდ ძლიერი მოკრივე კარუნარტნე და მძლეოსანი ვ. პერერა. ნიჩბოსნებისა და აფროსნების საკითხი ჯერ გადაუწყვეტელია. მათი შერჩევა ივნისის დამდეგს მოხდება.

ეს იქნება ცეილონის ყველაზე პატარა გუნდი მისი ოლიმპიური დებიუტის შემდეგ, რომელიც 20 წლის წინ ლონდონში მოეწყო. ცეილონელი სპორტსმენები ივარჯიშებენ მაღალმთიან ნუვარა ელეიაში (კოლომბოდან აღმოსავლეთით 170 კილომეტრზე), სადაც პავა მექსიკისას ჰგავს.

# მექსიკას გაემგზავრებიან

რავალპინდი, 17 მაისი. განათლების მინისტრმა ნ. ხაკმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა სამხრეთ აფრიკა ოლიმპიურ თამაშებში არ დაუშვას, პაკისტანი ბოიკოტს აღარ უცხადებს ამ შეჯიბრებას და მეხიკოში „პატარა, მაგრამ კარგად მომზადებულ გუნდს გაგზავნის".

• • •

კამპალა, 17 მაისი. უგანდის რესპუბლიკამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლები მეხიკოში არ გამოვლენ და გადაწყვიტა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიიღოს. ასე განაცხადა კულტურისა და საზოგადოებრივი განვითარების მინისტრმა კატიტიმ.

ახლა უგანდაში უკვე კომპლექტდება სპორტული დელეგაცია მეხიკოსთვის. ამ ქვეყნის ოლიმპიური იმედია მოკრივეთა გუნდი, რომელმაც სამშობლოში ლუსაკიდან ჩამოიტანა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ორ-ორი მედალი, საერთო ჩათვლაში კი II ადგილი დაიკავა.




# 1700 თარჯიმანი

საბოლოოდ დადგინდა პროგრამა და კალენდარი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალისა, რომელიც 28 ივლისს სოფიაში, ვასილ ლევსკის სახელობის სტადიონზე გაიხსნება. ზეიმი ათ დღეს გასტანს. ფესტივალის მეორე დღე გამოცხადდება გმირ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის დღედ: მოეწყობა ვიეტნამელი და ამერიკელი ახალგაზრდების შეხვედრა. 30 ივლისი იქნება ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, მშვიდობისთვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისთვის მებრძოლი ახალგაზრდობის სოლიდარობის დღე. ამ დღეს მოეწყობა არაბეთის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ახალგაზრდების შეხვედრა საბერძნეთის, ესპანეთის, პორტუგალიის ქალიშვილებთან და ჭაბუკებთან, ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულ ახალგაზრდობასთან. ფესტივალის დღეებში (იგი 6 აგვისტოს დამთავრდება) გაიმართება ქალიშვილების ზეიმი, მოეწყობა კაცობრიობის უფლებათა დაცვის დღე, ახალგაზრდობის საერთაშორისო კარნავალი, ატომური შეიარაღების საწინააღმდეგო მანიფესტაცია და სხვ.

სოფიის ფესტივალი გააგრძელებს პრაღის, ბუდაპეშტის, ბერლინის, ბუქარესტის, ვარშავის, მოსკოვის, ვენისა და ჰელსინკის ფესტივალების სპორტულ ტრადიციებსაც. შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება ექნება ფესტივალის ყველა სტუმარსა და მასპინძელს, ყველა ეროვნულ ნაკრებს და საკლუბო გუნდს.

სად და როდის გაიმართება სპორტული ღონისძიებანი? ყველაზე ადრე ბრძოლას დაიწყებენ ტანმოვარჯიშეები, რომლებიც 29-31 ივლისს სოფიაში, „უნივერსიადის" დარბაზში იასპარეზებენ. 3-4 აგვისტოს ეს სარბიელი მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლებს დაეთმობათ. ამ სახეობებში მოსამზადებელ სამუშაოებს ხელმძღვანელობს მხატვრულ ტანვარჯიშში ბულგარეთის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ჟ. შიშმანოვა.

სოფიაში, „დიანას" 50-მეტრიან აუზში 30 ივლისიდან 3 აგვისტომდე მოცურავეთა ტურნირი გაიმართება. მძლეოსნები 2-4 აგვისტოს ვ. ლევსკის სტადიონზე გამოვლენ, მანამდე კი (29 ივლისს) დაიწყება მასობრივი მძლეოსნური ტურნირები ფესტივალის სამკერდე ნიშნის მოსაპოვებლად. საორგანიზაციო კომიტეტმა სათანადო ნორმატივებიც დააწესა: მედლების მისაღებად ჭაბუკებმა 100 მეტრი 14,5 წამში უნდა გაირბინონ, 4 მ სიგრძეზე და 125 სმ სიმაღლეზე გადახტნენ, ბირთვი კი 7 მეტრზე მაინც უნდა ჰკრან. ქალიშვილებისთის ნორმატივები ასეთია: 60 მ რბენა — 10 წამი, სიგრძე — 3 მ, სიმაღლე — 1 მ, ბირთვი — 5 მ.

მძლეოსანთა ტურნირები ამით როდი დამთავრდება. ფესტივალის გახსნის მეორე დღეს სოფიის ქუჩებში მოეწყობა „ვიეტნამის ახალგაზრდობასთან სოლიდარობის" კროსი 1200 (ჭაბუკებისთვის) და 800 (ქალიშვილებისთვის) მეტრზე, 4 აგვისტოს კი „მეგობრობის" კროსი 6 და 2 კილომეტრზე (შესაბამისად).

პლოვდივი. 31 ივლისი-4 აგვისტო. მოცურავეთა ტურნირის მასპინძლობა ამ ქალაქს ხვდა, რადგან აქაური სპორტსმენები რესპუბლიკის ნაკრების ბირთვს შეადგენენ.

ხასკოვოში — ცნობილი ბულგარელი მოჭიდავეების, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების პ. გარჩევის, ე. ვილჩევის, ა. კერეზოვის, ევროპის ჩემპიონ პ. კიროვის სამშობლოში თავს მოიყრიან თავისუფალი (30 ივლისი-1 აგვისტო) და კლასიკური (2-4 აგვისტო) სტილის მოჭიდავეები...

ფესტივალის გახსნის დღეს სოფიაში დამთავრდება მოტოგადარბენა „ფესტივალი", რომელშიც წინა ფესტივალების ორგანიზატორი ქვეყნების გუნდები გამოვლენ.

სოფიაში დელეგაციებს 110 ქვეყნიდან ელიან. ამდენი სტუმარი არც ერთ ფესტივალს არ ჰყოლია და მონაწილეთა მომსახურებისთვის 1700-მდე თარჯიმანი (25 ენისა) მოამზადეს.

საინტერესოა ფესტივალის ნიშნისა და სპორტული მედლების ესკიზების შექმნის ისტორია. კონკურსში ევროპის რამდენიმე ქვეყნის მხატვრები მონაწილეობდნენ, საბოლოო განხილვისთვის კი ჟიურის 20 წინადადება წარუდგინეს. გამარჯვება ბულგარელ მხატვარს ს. კონჩევს ხვდა. სამაგიეროდ, ფესტივალის ნიშნებსა და სპორტულ მედლებს (ოც-ოცი ათასი ცალი) პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის საწარმოები დაამზადებენ.

მსოფლიო ფესტივალის დაწყებამდე ორთვენახევარი დარჩა, მაგრამ ბულგარეთი უკვე მომავალი ფორუმის სულისკვეთებით ცხოვრობს — 15 აპრილიდან დაიწყო და 15 აგვისტომდე გაგრძელდება „ფესტივალის სპორტული დღეები", რომელიც რესპუბლიკის III სპარტაკიადის პროგრამაშიც შედის.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## 21 მაისს

შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს V პლენუმი.

დასაწყისი 12 ს.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასის I ჯგუფი. „დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი). დღეს — დუბლშემადგენლობანი, ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 15 წ.

**ჭადრაკი.** რუსთაველის სახ. თეატრის მცირე დარბაზი (რუსთაველის პრ. № 17). ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ხვალ — VIII ტური. დასაწყისი 17 ს. 21-ში IX ტური. დასაწყისი 11 ს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** სპორტის სასახლე. 20 მაისი. სსრ კავშირისა და ბულგარეთის ჭაბუკთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა. დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04067